მოკლე მიმოხილვა

„საქართველოსა და ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციას შორის ორგანიზაციის (OPCW) პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ“ შეთანხმების კონტექსტში, ზოგიერთი პიროვნების სახელმწიფო სამსახურის ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების თაობაზე

„საქართველოსა და ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციას შორის ორგანიზაციის (OPCW) პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ“ შეთანხმების პროექტის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს, რომ

„OPCW-ს თანამდებობის პირები <u>თავისუფლდებიან სახელმწიფო სამსახურის ვალდებულებებისგან</u> იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მოქალაქეებთან დაკავშირებით ასეთი გათავისუფლება ეხება OPCW-ს იმ თანამდებობის პირებს, რომელთა სახელებიც მათი მოვალეობებიდან გამომდინარე OPCW-ის გენერალური დირექტორის მიერ შედგენილ ცხრილში იქნა მოთავსებული და საქართველოს მიერ დამტკიცებული. იმ შემთხვევაში, თუ OPCW-ის სხვა თანამდებობის პირები გაწვეული იქნებიან სახელმწიფო სამსახურში საქართველოს მიერ, საქართველომ, OPCW-ის მოთხოვნის საფუძველზე, გაწვევასთან დაკავშირებით ამ პირებს უნდა მიანიჭოს ისეთი დროებითი გადავადება, <u>საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად,</u> რომელიც შესაძლოა აუცილებელი იყოს მათ მიერ მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულებისას შეფერხების თავიდან ასაცილებლად.“

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და კერძოდ, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის“ შესახებ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის პირველი („ო“) პუნქტის თანახმად, *„წვევამდელს სამხედრო სამსახურში გაწვევა გადაუვადდება, თუ: [...] გაწვევის გადავადების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ“.*

პრაქტიკაში, „საქართველოსა და ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციას შორის ორგანიზაციის (OPCW) პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ“ შეთანხმების საფუძველზე, იმისათვის, რათა OPCW-ს თანამდებობის პირები გათავისუფლდნენ საქართველოში სახელმწიფო სამსახურის ვალდებულებისგან. განხორციელებულ უნდა იქნეს შემდეგი ქმედებები:

1. OPCW საქართველოს მთავრობას გაუგზავნის ოფიციალურ მოთხოვნას, სადაც მითითებული იქნება, რომ OPCW-ს კონკრეტული თანამდებობის პირი ექვემდებარება საქართველოში სახელმწიფო სამსახურის ვალდებულებისგან გათავისუფლებას;
2. ზემოხსენებული მოთხოვნის საფუძველზე, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის“ შესახებ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის პირველი („ო“) პუნქტის თანახმად, საქართველოს შესაბამისი სახელმწიფო უწყება საქართველოს პრემიერ-მინისტრისგან მოითხოვს უფლებამოსილებას, კონკრეტული პირისთვის გარკვეული პერიოდის განმავლობაში სახელმწიფო სამსახურის ვალდებულების გადავადების შესახებ;
3. ხსენებული პროცედურები განმეორდება ყველა ჯერზე, როდესაც ამას მოითხოვს OPCW.